წერილის ნომერი: **18-01191093972**
თარიღი: **19/04/2019**
პინი: **2168**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 28 მარტის #60-01190592770 წერილი (AR1662750), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კასპის ქუჩა (ს.კ.: 01.17.13.001.037) (სსზ-2) შპს „დომინანტის“ საკუთრებაში არსებულ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, IV კლასის სამედიცინო დაწესებულების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-40 მუხლის მე-3^1 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი გამწვანების საინფორმაციო ბანერის ესკიზი, სადაც უნდა მიეთითოს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია. განმცხადებელმა გამწვანების საინფორმაციო დაფაზე უნდა დაიტანოს კ3 გამწვანების კოეფიციენტის ფართობი, გამწვანების პროექტის შეთანხმების გრაფა (მშენებლობის ნებართვის აღებამდე თარიღის შევსება არ არის სავალდებულო), გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღად უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი); ასევე, დასარგავი მცენარეების გრაფაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია, როგორც სახეობის და ხნოვანების, ასევე გარშემოწერილობის, სიმაღლის და რაოდენობის შესახებ. ასევე, აუცილებელია ბანერზე მიეთითოს გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა (არანაკლებ 3 წელი) და გაშენებული მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი (იმ შემთხვევაში თუ გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობას არ უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული წერილობითი დასტური/ხელშეკრულება მცენარეების მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების თაობაზე). გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან ფოტომონტაჟის სახით (დასარგავი მცენარეებისა და განსათავსებელი შენობა-ნაგებობის ილუსტრაციით).

სამსახური იმსჯელებს საკითხზე მას შემდეგ, რაც განმცხადებელი გამოასწორებს ზემოაღნიშნულ ხარვეზებს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

